

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



განხილულია და დამტკიცებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის საბჭოს მიერ

ოქმი N01/ 21

20 ივნისი, 2021 წელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლა/სწავლების პროცესში ჩართულ პირთა დაჯილდოების შესახებ

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი მისიაა მაღალკვალიფიციური აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მოზიდვა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მოამზადონ ქვეყნის საჭიროებიდან გამომდინარე მომავალი პროფესიონალები სწავლებისა და სწავლის ინოვაციური მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებით. უნივერსიტეტს გააჩნია სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა, რომლის ერთ-ერთი მიზანია პროფესორ-მასწავლებლების თანამედროვე და ინოვაციური სწავლა-სწავლების უნარების განვითარება.

2017 ოქტომბრიდან უნივერსიტეტი ჩართულია Erasmus+ მიერ დაფინანსებულ პროექტში - „ცვლილება საკლასო ოთახში: ინოვაციური სწავლებისა და სწავლის წახალისება სტუდენტთა სასწავლო გამოცდილების გასაუმჯობესებლად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ (PRINTeL), რომლის მიზანია პარტნიორ ქვეყნებში სტუდენტთა სასწავლო გამოცდილების გაუმჯობესება ევროკომისიის განათლებისა და მომზადების 2020 მიზნების (ET 2020 Objectives) შესაბამისად. პროექტი ასევე მიზნად ისახავს სწავლისა და სწავლების მეთოდების განვითარებასა და ინოვაციების წახალისებას ტექნოლოგიებისა და კვლევის ინტეგრაციის მხარდაჭერით გზით.

პროექტის მთავარი აქტივობებია აკადემიური პერსონალის განვითარების ცენტრის ჩამოყალიბება და გაძლიერება, აკადემიური პერსონალისა და სწავლების პროცესში ჩართული პერსონალის გადამზადება და სწავლებისა და სწავლის ვირტუალური აკადემიის ჩამოყალიბება.

პროექტის აქტივობების შესაბამისად, 2019 წელს უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების გადაწყვეტილებით ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან შეიქმნა აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი, რომლის ორგანიზებითაც ინოვაციური სწავლისა და სწავლების პოპულარიზაციის მიზნით, 2019-2020 წლების განმავლობაში უნივერსიტეტში ჩატარდა ტრენინგების სერია, რომელთა მეშვეობითაც უნივერსიტეტის სწავლის პროცესში ჩართულ პირებს მიეცათ საშუალება, გაცნობოდნენ სწავლა/სწავლების ინოვაციურ მეთოდებს და მოეხდინათ მათი ინტეგრაცია სასწავლო კურსებში.

ეს ტრენინგებია :

- შერეული სწავლება და სწავლა სტუდენტების სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად
- აქტიური სწავლება შებრუნებულ საკლასო ოთახში
- აქტიური სწავლება და თანამედროვე ტექნოლოგიები
- შებრუნებული საკლასო ოთახი - სწავლების ეფექტიანობის ზრდა ვიდეოებისა და სხვა პროგრამების გამოყენებით
- აქტიური სწავლა და სწავლება საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით: სწავლა მობილურით და თამაშით

აღნიშნულ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის 500 - მდე აკადემიურმა პერსონალმა/სასწავლო პროცესში ჩართულმა პირმა.

2020 წლიდან, მსოფლიოში მიმდინარე პანდემიის გამო, სწავლების პროცესში ინოვაციური და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა განსაკუთრებით აქტუალური და მნიშვნელოვანია, რადგან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დისტანციური სწავლება გახდა სწავლების ძირითადი ფორმა.

2020 წლის მარტიდან უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის ტრენინგებმა ჩაწერეს ვიდეო-ინსტრუქციები, რომელიც დაეხმარა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს დისტანციური სწავლების ფორმატზე წარმატებით გადასვლაში. მათ ასევე ჩაატარეს ონლაინ-ტრენინგები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის 60-მდე აკადემიურმა პერსონალმა. 2021 წლის მარტი-აპრილის პერიოდში, უნივერსიტეტი ასევე გეგმავს პროექტ „პრინტელის“ ფარგლებში 6 ონლაინ-ტრენინგის ჩატარებას აკადემიური/სასწავლო პროცესში

ჩართული პერსონალისთვის. აღნიშნული ტრენინგები მთლიანად ითვალისწინებს დისტანციური სწავლების პროცესში გამოვლენილ გამოწვევებს და ასევე მორგებულია უნივერსიტეტის საჭიროებებზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტისა და პროექტ „პრინტელის“ ფარგლებში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მოხდეს აღნიშნული ცენტრის ტრენინგების დაჯილდოვება, რადგან მათ ბოლო ორი წლის განმავლობაში უდიდესი წვლილი შეიტანეს სწავლების პროცესის გაუმჯობესებასა და სწავლის დისტანციურ რეჟიმში შეუფერხებლად გაგრძელებაში. უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ტრენინგები უნდა დაჯილდოვდნენ მაღლობის სიგელებით.

ტრენინგების გარდა, უნივერსიტეტი ასევე დააჯილდოვებს იმ პროფესორ/მასწავლებლებს, რომელთაც გაიარეს პროექტ „პრინტელის“ ფარგლებში ჩატარებული ტრენინგები და წარმატებით იყენებენ სწავლა/სწავლების ინოვაციურ მეთოდებს სასწავლო პროცესში.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის საბჭოს გადაწყვეტილებით დაჯილდოვდნენ შემდეგი ტრენინგები და მასწავლებლები:

1	სახელი, გვარი
1.	ალექსანდრე ერგეშიძე
2.	არჩილ აბაშიძე
3.	ეკა ლეფსვერიძე
4.	ელენე ჟურავლიოვა
5.	გიგა ხოსიტაშვილი
6.	ირმა კირთაძე
7.	ლევან ცაგარელი
8.	მაია როგავა
9.	თამარ მაღალაშვილი

რექტორის მოადგილე

ნინო დობორჯგინიძე